ოქმი N7

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2019 წლის 26 ივნისი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 12

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 11

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ვლადიმერ ქანთარია
4. დავით ბერაია
5. თეა გელანტია
6. დოდო გაბუნია
7. ტარიელ ალექსანდრია
8. მერაბ ფილიპია
9. ბექა მამაცაშვილი (არაუფლებამოსილი)
10. კახა ლატარია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 25 ივნისის N05/2079 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) და დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 19 აპრილის N17 განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით

(უზუფრუქტის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 25 ივნისის N05/2079 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) და დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 19 აპრილის N17 განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტები: 1) „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) და დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 19 აპრილის N17 განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“; 2) „ხობის მუნიციპალიტეტის

მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"; 3) „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" და კომისიის დასკვნები წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით (მასალები ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ 1. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება, მდებარე ქ. ხობი ცოტნე დადიანის ქ. N189 მე-3 სართული, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 19 აპრილის N17 განკარგულების N1 დანართის საფუძველზე სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემული ჰქონდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებულ ხობის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურს. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მაისის N227 დადგენილების თანახმად განხორციელდა სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის რეორგანიზაცია და შეიქმნა ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო", რის გამოც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ითხოვს სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურისთვის უზუფრუქტის წესით გაცემული განკარგულების გაუქმებას. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე მერიის მიერ წარმოდგენილია განკარგულებს პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) და დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 19 აპრილის N17 განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე"; 2. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორის წერილი, ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ცენტრისთვის უზუფრუქტის წესით გადაცემის თაობაზე. მერია თანახმაა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონება უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, გადაეცეს ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრს, რაზედაც წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"; 3. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ითხოვს, მის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთვის" არსებობის ვადით, საოფისე ფართის, სარგებლობის უფლებით, (უზუფრუქტის ფორმით) გადაცემას. მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ განხილულ იქნა ზემო აღნიშნული წერილი და წარმოდგენილი იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის (უზუფრუქტის ფორმით) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ", რომლის საფუძველზეც სააგენტოს გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქ. N189-ში მდებარე შენობის მე-3 სართულზე 33,9 კვ.მ ფართი. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: განკარგულების პროექტები წარმოდგენილი სახით შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა